გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 — სოპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

13 ივნისს, შაბათს,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

### საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში შესავალ-გასავლისა.

2) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

3) გამგეობის წევრთა არჩევანი.

4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—4)

---

### ტფილისის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებისაგან.

ტფილისში ხმა დადის, რომ ქალაქში ხოლერა გაჩნდაო. ამის გამო ტფილისის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილება ტფილისის გუბერნატორის ბრძანებისამებრ აცხადებს საყოველთაოდ, რომ არც ტფილისში და არც სადმე ტფილისის გუბერნიაში ერთი მაგალითიც არა ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა და არც სხვა რაიმე ხოლერის მგზავსი ავადმყოფობა. ამასთანავე ზემოხსენებული სამკურნალოს განყოფილება აცხადებს, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის გრაფის ი. დ. ტატიშჩევის ბრძანებისამებს 2 ივნისს მომხდარ ტფილისის საგუბერნიო მმართველობის კრებამ დაადგინა: თუ ვინიცობაა მართლა ხოლერა გაჩნდა ტფილისის გუბერნიაში, იმ წამსვე ეს ამბავი და დაწვრილებითი ცნობანიც ხოლერით ავადმყოფთა შესახებ, თუ იგი გავრცელდა ტფილისში, დაბეჭდილი იქმნას გაზეთ „Кавказъ“-ის ოფიციალურ განყოფილებაში. აგრეთვე დაბეჭდილი იქნება ვრცლად ამავე გაზეთში ზემოხსენებული დადგინება ტფილისის საგუბერნიო მმართველობის კრებისა.

—

ბაქოს გუბერნატორი 7 ივნისს დეპეშით იუწყება: „გუშინ ქალაქის საამკურნალოში სხვა-და-სხვა დროს მოიყვანეს 15 ფაღარათობით ავადმყოფი, რომლიდგანაც 4 გარდაიცვალა. მკურნალებმა შეამოწმეს, ეს ავადმყოფობა „holera nostras“ არისო; მიღებულია ყოველ გვარი ღონის ძიება ამ ავადმყოფობის მოსასპობად“ („Кавказъ“).

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი პალლადი დიდად მოწადიდინებულია, რომ განახლდეს ძველი ტაძარი წრომისა, აშენებული პირველ-წამებულის წმ. რაჟდენის სახელობაზე. ეს ტაძარი ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, გუმბათი სულ აღარა აქვს და ცალი კედელიც ნახევრად დარღვეულია. მის აღდგენას სრულიად და სავსებით დიდი ფული მოუდება. მით უმეტეს, რომ საკურთხეველი, როგორც დღესაც ეტყობა, საკვირველის ხელოვნებით ყოფილა შემკული აია-სოფიის მრავალ-ფერადოვანის კენჭებით, იატაკიც დაფენილი ყოფილა მარმარილოს ქვით. სვეტები მარმარილოსი დღესაც რამდენიმეა ეკკლესიაში, ყოველ ამის აღდგენა ძნელია. ეგზარხოსს აღუთქვამს სამასი თუმანი მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ფულიდამ ამ ტაძრის განსაახლებლად. ხოლო თვით სოფელს უკისრნია სამასი თუმანი. ეგზარხოსს უკვე შეუდგენია კომიტეტი და დაუვალებია მისთვის ამ საქმის ხელმძღვანელობა. თუ არა ვსცდებით, ეს მეშვიდე ტაძარი იქნება მარტო ქართლში მათ შორის, რომელიც ამ ორსამ წელიწადს განახლდა ან ახლდება დღეს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალალდის ეგზარხოსობაში. უკვე განახლდა: ნიქოზისა, კიდევ ნიქოზისა, წუნარისა, თილვისა, ახლდება მეტეხისა, იკორთისა და ახლა წრომის ტაძრის განახლებას უნდა შეუდგნენ.

*** 7 ივნისს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფილისის 1 და 2 გილდის ვაჭართა ე. ა. დავიდოვის თავმჯდომარეობით. კრებამ აირჩია ქალაქის ხარჯთ გამწერ-ამკრების საკრებულოს სამი წევრი: ი. გურგენოვი, რ. მარტიროსოვი და ე. აკოფოვი და სამი კანდიდატი: დ. ფორაქოვი, ა. მილოვი და ოქოევი.

*** მარიამობის თვეში პეტერბურგში გაიმართება რკინის გზის წარმომადგენელთა კონგრესი. ამ კონგრესზედ ამიერ კავკასიის რკინის გზის წარმომადგენლებად გაგზავნილნი იქნებიან ამავე რკინის გზის უფროსნი: ბ-ნნი ე. დ. ზლოტნიცკი, ვ. ა. ერდელი და ნ. ა. ფრენი.

*** საგარეჯო: მართალია, ჩვენში ავ-კაცობის ჩამდენნი ძალიან აილაგმნენ, მაგრამ მაინც ამ დღეებში ამ ვაჟბატონთ კიდევ თავი იჩინეს. აქაურ მეჩოხეს კარიდგან მტრობით ღამე ცხენი მოჰპარეს, ცოტა ქვევით ჩამოაცილეს და შიგ ბაზარშივე საშინელის ტანჯვით დაალრჩეს საცოდავი პირუტყვი. მოხელეთ ბეჯითობა იწყეს დამნაშავეთ აღმოჩენაში და ოქმის შედგენამდის ერთი სხვა მეჩოხევე ჩააგდეს გომურში, მაგრამ ჯერ ნამდვილად არავინ იცის ბოროტ-მომქმედნი ვინ არიან.

*** იქიდამვე: განსვენებული დიმ. ზაქ. ბაქრაძე ჩვენი მიწა-წყლის კაცი იყო, ჩვენი მეზობელი და, რასაკვირველია, ძვირფასი ჩვენთვის. როდესაც ჩვენის ქვეყნის ყველა კუნჭულებიდან მის ფონდის სასარგებლოდ შესაწირავი შესაწირავზედ იგზავნებოდა, ჩვენშიაც შევაგროვეთ ფული, რომელიც გადაეცა ერთ-ერთს აქაურს კაცს. მაგრამ, დღევანდლამდის შემომწირველთა სია არ დაბეჭდილა გაზეთში. ვგონებთ, ურიგო არ იქნება, ყველა მითქმა-მოთქმის მოსასპობლად, ეხლა მაინც დაიბეჭდოს ეს სია და ფულის რაოდენობაც აღინიშნოს.

*** ახალციხე: ახალციხის ახლოს გახლავთ, როგორც მოგეხსენებათ, ძველი დიდებული ტაძარი საფარისა. ამ ტაძარს მხოლოდ ამ ბოლოს დროს მიაქცია ყურადღება მთავრობამაც და ქართველმა საზოგადოებამაც. ძველი ნაშთი კვლავ განახლდა, შეკეთდა. შეკეთდა აგრეთვე ის გზაც, ამ ტაძართან მისავალი, რომელიც სრულიად გაფუჭებული იყო. ყოველ ამ საქმეში მცირე ღვაწლი არ მიუძღოდა ერთს საწყალსა და უსწავლელს კაცს, მორჩილს სტეფანე თაქთაქიძეს, რომელმაც მთელი საქართველო მოვლო და დაწესებულის კონდაკით აგროვა ფული საფარის მონასტრის გზის გასაკეთებლად. კარგა ბლომადაც მოაგროვა და ყოველივე ეს შეკრებილი ფული მოხმარდა ამ გზის გაკეთებას. აი წელსაც მორჩილმა სტეფანემ აიღო კონდაკი და კვლავ გასწია ფულის მოსაგროვებლად. მაგრამ დიდი ხანი აღარ დასცალდა თავ-გადადებულს კაცს, რომელიც ყოველსავე მოსათმენს ითმენდა თავის აზრის განსახორციელებლად. მაისის გასულს სტეფანე გარდაიცვალა ბორჯომში და ველარ ეღირსა თავის საყვარელ მონასტრის ახლო დასაფლავებას.

*** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა): მაისის 29-ს ამობრძანდა აქ ბათომის ახალ მოსული ოლქის უფროსი აჭარას დასათვალიერებლად. კანცელარია გასინჯა და საქმეების განხილვა დაიწყო. საღამოზედ თავ-შეყრილს ხალხსა და მამასახლისებს დაავალა, ხვალ თავი მოიყარეთ ყველამაო. თითონ იმ დღეს სოფელ მერისში წავიდა იქაურობის სანახავად. მეორე დღეს ხალხი დაიარი, თუ ვისმე რამ საჩივარი და შეწუხება ჰქონდა, ყველაფერი უამბეს. მესამე დღეს გამოეთხოვა ხალხს და ისევ ბათუმისკენ გაემგზავრა.

*** იქიდამვე: მაისის 31-ს მარადიდიდგან მოჰყავდა ორ მილიციონერს ორი კაცი შავშეთლები, რომელნიც შეეპყრათ ავ-კაცობისათვის და ბათომის ციხეში უნდა დაეპატიმრებინათ. მოიყვანეს აჭარის სინორზედ თუ არა, ერთი მათგანი გაიქცა. იმ გაქცეულ კაცის დასაჭერად რომ ალიაქოთი შედგა, მეორემ დაავლო ქვას ხელი და ესროლა მეორე მილიციონერს თავში, დაარეტიანა და ახლა თითონაც გაიქცა. აჭარის უფროსმა თავის მილიციონერებით ყველა სოფლის გზები შეჰკრა იმათ დასაჭერად. თავ-გატეხილი მილიციონერი ბათომის სამკურნალოში გაჰგზავნეს და არ ვიცით, მორჩება თუ არა.

*** გაზეთი „Каспій“ იუწყება: „5 ივნისს ბაქოში გარდაიცვალა კ. კრომენეცი, მკურნალმა ხვალინსკიმ შეამოწმა, რომ კრომენეცი უვანისაგან გარდაიცვალაო“.

*** იგივე გაზეთი სწერს: „5 ივნისს ბაქოს მესამე ნაწილის ბოქაულმა სამკურნალოში გაჰგზავნა ფაღარათობით და პირსაქმებით ავადმყოფი, არათველოვი.

*** იგივე გაზეთი სწერს: 5 „ივნისს ბაქოს სამოქალაქო სამკურნალოში შემწეობა აღმოუჩინეს დეზინტერიით ავადმყოფთ 25 ყმაწვილს.

*** გაზეთს Нов. Обоз ს შეუტყვია, რომ რკინის გზის მკურნალის ბ-ნ სახაროვის მეოხეობით სურამში სასანიტარო განყოფილება იქნება გამართული რკინის გზის ავადმყოფ მოსამსახურეთათვის.

## ამბავი სოფლიდ

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბაღდადი** (ქუთაისის მაზრა): ეს სოფელი ცნობილია კარგის ჰაერით და მდებარეობით. აქვე ჩამოდის ხანის წყალი, ნაქები კალმახით. ამ სოფელზედვე გადის მშვენიერი გზატკეცილი, რომელიც იწყება ქუთაისიდგან და ჩადის აბასთუმნამდის. ეს გზა ძლიერ უადვილებს მკვიდრთ მისვლა-მოსვლას და ჭირნახულის წაღებ-წამოღებას სხვა-და-სხვა ქალაქებში. 1878 წელს მთავრობამ ამ სოფელში დააარსა სამოსამართლო და საადმინისტრაციო განყოფილებანი ქუთაისის მაზრისა, რადგან ქუთაისის მაზრის განაპირ მცხოვრებთათვის სამძიმო იყო ქუთაისს სიარული საქმეების გამო.

მეტად უხვია აქაური ადგილები ბუნებით. აქ ბლომად მოდის: ღვინო, სიმინდი, ბამბა, თუთუნი და ხეირობს ყოველ გვარი ხეხილი. ღვინოს უჭირავს უპირველესი ადგილი და კარგი სარგებლობაც აქვთ ჯერჯერობით მცხოვრებთ, თუ აწი ფილოქსერა არ ესტუმრათ. აქაური ღვინოები გააქვთ: ქუთაისს, ფოთს, ბათუმს და სხვ. წელს საზოგადოდ იმერეთში ღვინოები იაფია, მაგრამ აქ ადგილობრივ (12 ჩაფი—24 ფუთი) 35—45 მანეთად ისყიდება. ნაქებია ამ სოფელში ღვინოები გოგნაძისა და მახლობელ სოფლებში: დიმასა და ფერსათში მებატონებისა: ს. კიკნაძისა, ჩხეიძისა და გ. იოსელიანისა. რაც შეიძლება, საბალახოს, „ფერსათის მთა“, არამც თუ აქაურებსა ჰყოფნის საბალახოთ, არამედ გარეშე სოფლებიდგანაც ზაფხულობით აქ მოჰრეკენ ხოლმე საქონელს.

ს. ბაღდადში კარგა ხანია რაც სავაჟო სკოლა არსებობს, რომელშიაც იზრდებიან მხოლოდ გლეხთა შვილები. შარშან-კი, ოქტომბერში, ქ-ნმა ტყეშელაშვილის ასულმა გაჰმართა აქ პირველი დაწყებითი სკოლა ქალებისათვის და მოსწავლეებსაც იღებს განურჩევლათ წოდებისა. მოთავე ამ სკოლის დაარსებისა გახლდათ აქაურივე აფთიაქის პატრონი ბ-ნი ი. კანდელაკი, რომელმაც დიდად დააჯალა ამ საქმეს. აქაური საზოგადოებაც თანაგრძნობით მიეგება ამ კეთილს საქმეს. მოსწავლეებს ამზადებს პირველი კლასისათვის. სკოლაში ამ ჟამად სულ 16 ყმაწვილი სწავლობს, მაგრამ მომავალისთვის ერთიორად მეტი იქნება. ბავშვები თამამად და კარგად კითხულობენ ქართულს, აგრეთვე რუსულსაც გვარიანად შესჩვევიან ამ მოკლე დროში. სწორედ სასიამოვნო სანახავია მათი კითხვა და სიტყვა-პასუხი. ქ-ნ ტყეშელაშვილის ასულს დაუსრულებია სწავლა ქუთაისის დედათა გიმნაზიაში და ძლიერ გულ-მოდგინედაც ირჯება სკოლისათვის. ეხლა როგორც შევიტყვეთ, ქ-ნ ტყელაშვილის ასულს განუზრახავს, მოყვანა თავისის დისა, რომელმაც ბავშვებს უნდა ასწავლოს ხელ-საქმე, ჭრა, კერვა და ქსოვა. სწორედ დიდის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი ტყეშელაშვილის ასული და ბ-ნი ი. კანდელაკი, რომლის მზრუნველობა-

შიც იყო დღემდის ეს სასწავლებელი. ბ-ნი კანდელაკი დღეს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თავს ანებებს აქაურს აფთიაქს და მიდის რუსეთში. სასურველია, რომ ამ კეთილის საქმის მზრუნველობას იკისრებდეს რომელიმე ქუთათური ნასწავლი ქალი. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დიდს ხარჯსა და შრომას არ მოითხოვს უკვე ფეხზედ დამდგარი სკოლა, რადგან აქაური საზოგადოება თანამგრძნობელია მისი. მისვლა-მოსვლაც ბაღდადამდის ძნელი არ არის ქუთაისიდამ.

კოტე ჩხეიძე

## წერილი ოზურგეთიდგან

მაისის განმავლობაში ოზურგეთელთა ჯიბეს ბევრ-ნაირი ხარჯი გადაახდევინეს. ლატარია-ალეგრი, სეირნობა, ხელის-მოწერის გამართვა საქველ-მოქმედო აზრით, გუბერნატორის სადილი და კიდევ რაღაებიც სულ ზედიზედ მოხდა, მაგრამ ოზურგეთლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერში ხელ-გაშლილობა გამოიჩინეს, ხოლო რაც შეეხება გულ-გაშლილობას, ამაზედ ხომ ლაპარაკიც არაა საჭირო. განსაკუთრებით ძალიან ცხოველად ჩაიარა გუბერნატორის პატივსაცემად გამართულმა სადილმა, რომელიც ალბად იმ აზრით გაუმართეს ბ-ნს გუბერნატორს, რომ დაერწმუნებინათ, არც ისე ნაირი დამთხვეული ხალხი ვართ, როგორც იქნება თქვენამდე ხმები მოდისო. როგორც ჰხედავთ, აზრი ჩინებულია და ოზურგეთელთა პურ-მარილი ჩინებულადაც მიითვალა გუბერნატორმა, რომელმაც აღუთქვა, რომ სამოქალაქო სასწავლებელთან პროფესიონალურ განყოფილებას დაგიარსებთ, თუ ცოტა რამ წვლილს თქვენც გამოიღებთ ამ კეთილის საქმისათვისაო. თქვენის მხრით ერთხნობით საჭიროა სამი დღიური მიწა შესწიროთ და ასი თუმანი ფულიცაო, ხოლო დანარჩენ ხარჯს, ვიშუამდგომლებ, რომ მთავრობამ იკისროსო. ოზურგეთლებმა ამ საგანზე უკვე შეადგინეს განაჩენი და წარადგინეს, სადაც ჯერ იყო, მაგრამ ამ საქმეს მარტო განაჩენი ვერას უშველის. თავი და თავი საქმე ის არის, თუ როგორი პროგრამა ექნება განზრახულ განყოფილებას და რომელი დარგი მეურნეობისა იქნება სასწავლად სავალდებულო. დიდის სიფრთხილითა და წინ-დახედულობით უნდა ამ საქმეს გაძღოლა, რადგანაც ეს პირველი ნაბიჯია გურიაში და, თუ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ხალხს გული აუცრუვდება სამეურნეო სწავლა-ცოდნაზედ. გურულს „ცხელ კვალზე“ ემარჯვება და ესიამოვნება ყველაფრის გაკეთება. ერთი ცოტაოდენი ხან-დაზმულობა, ცოტაოდენი მარცხი რომელსამე საქმეში საკმაოა, რომ გურული „შეაფუცხუნოს“ და გააქციოს. განზრახულ სამეურნეო განყოფილებაში, ჩვენის აზრით, პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს მეაბრეშუმეობამ, მეფუტკრეობამ, მეღვინეობამ და მებაღ-მებოსტნეობამ. რაც შეეხება სამჭედურისა და სადურგლოს გამართვას, სრულიად მეტია, რადგანაც დურგლობა და მჭედლობა უიმისოდაც დიდად გავრცელებულია ჩვენში.

იმედია, მზრუნველნი და ხელმძღვანელნი ამ ფრიად სასარგებლო საქმის ყოველსავე ამას გულ-დადებით გამოიწვლილებენ, „ასჯერ გაზომვენ და ერთხელ გამოსჭრიან“. ბ-ნ გუბერნატორის ბრძანებისა არ იყოს, სირცხვილია გურიისთანა ბუნებით მდიდარ მიწა-წყლის პატრონი იყოს კაცი და გამოულეველად არ ჰქონდეს „ჯიბეში ფული და ბეღელში პური“. სირცხვილია, გურულისთანა მკვირცხლი ჭკუა-გონების კაცი ტყეში ათენ-აღამებდეს და ავაზაკობაში ამოსდიოდეს სული. ხოლო თუ ამ სირცხვილის ჩამორეცხა სასურველია, პირველ ყოვლისა იმას უნდა სცდილობდნენ მთავრობაცა და მკვიდრნიც, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნა ააყვავონ, ხალხი სიღარიბის და სიბნელისაგან გამოიყვანონ და მაშინ, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, არავინ ძარცვა-გლეჯისა და ავაზაკობის გზას არ დაადგება.

დიდად სასიამოვნოა, რომ ბ-ნი გუბერნატორი ყოველსავე ამას დიდ ყურადღებას აქცევს და სურს, ჩვენი ქვეყანა მეურნეობის მხრით გააძლიეროს და ააყვაოს.

ბ-ნმა გუბერნატორმა თავის აქ ყოფნის დროს დიდის გულ-დადებით გამოიკითხა აგრეთვე სასოფლო გზებისა და სიმინდის მაღაზიების ამბავი, რის გამოც დაიმედებულნი ვართ, რომ ერთიცა და მეორეც სასურველად მოეწყობა ჩვენში. ვგონებ დროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ მარტო ავაზაკთა დევნა და ამ დევნის გამო მშრომელ მკვიდრთა დაწიოკება და დაღარიბება ნიადაგს ავაზაკობისას არა თუ არ ასუსტებს, არამედ პირ-იქით აპოხიერებს. დროა შევიგნოთ, რომ ავაზაკობა ხეირობს სიბნელესა და უმეცრებაში. გააშუქეთ სიბნელე, მოსპეთ უმეცრება და ავაზაკობაც ძირიან-ფესვიანად ამოვარდება, თორემ უამისოდ „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო“ იქნება.

**

უსამართლობა იქნება, ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ ოზურგეთელ ნოქართა შესახებ, რომელთაც განიზრახეს ეთხოვნათ გუბერნატორისათვის, ნება მოგვეცით მეექვსე მცნება ჩვენც შევისრულოთ, ექვს დღეს ვიქმოდეთ საქმეთა „ხაზეინთა“ ჩვენთასა და მეშვიდე დღეს განვისვენოთო. რასაკვირველია, რომ აქ არაფერი დანაშაულობა არ არის, პირ-იქით ნოქართა აზრი თანასაგრძნობია, რადგანაც აქ იხატება სურვილი თავისუფლებისა, კვირაში ერთის დღით მაინც დამოუკიდებლად ყოფნისა, ხოლო ეს სურვილი იმდენად კეთილშობილურია, იმდენად ადამიანური, რომ ყოველი ცოტაოდნად შეგნებული ადამიანი იმის ზრდასა და წარმატებას ხელს უნდა უწყობდეს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ... მაგრამ მაგარი ის, არის, რომ აქაურ „ხაზეინებს“ ეს ამბავი ეჩოთირათ. „რავა გაბედეს ყაზილარებმა ასეთი კლაუზნიკობა, არც ერთი, დუქანში-კი არა, ციმბირს აქეთ მოსაცადი არ არისო“. და სხ. გასჭრა ამ მუქარამ. ნოქრები მოიპუზნენ, დაფრთხნენ და დიდის ცახცახ-კანკალით ხელ-მოწერილი, მარკა დასმული და კანვერტში ჩადებული არზა ცეცხლს მისცეს. ამ ნაირად თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც ჩაჰქრა იმათ გულში ის ღვთიური ცეცხლიც, ურომლისოდაც ადამიანი გონიერი და თავისუფალი არსება-კი აღარ არის, არამედ მონა და ფეხის მტვერია სხვისი. პატარაობიდგანვე ასეთ ვითარებაში აღზრდილი კაცი, რა თქმა უნდა, ვერ იკაცებს, თავისუფალი მოქალაქე ვერ გახდება, საზოგადოების წევრად ვერ გამოდგება, რადგანაც სულითა და გულით, ჭკუითა და გონებით დამოკიდებულებას მიჩვეული იქნება. თუ ამ მხრით განვსჭვრეტთ და განვიკითხავთ ამ საგანს, სამწუხაროდ უნდა მივიჩნიოთ, რომ ოზურგეთელ ნოქრად სურვილს ისე უწყალოდ მოსტეხეს ფეხი და შეაკვეცეს ფრთები.

**

გუბერნატორთან ერთად ჩვენი ქალაქი ინახულა ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. ს. წერეთელმა, რომლის მოსვლის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის იყო, რომ გაეგო რამდენად მართალი იყო გურიის თავად-აზნაურთა შესახებ გავრცელებული ხმა, თითქო ეს წოდება ავაზაკთა დევნაში გულ-გრილობას იჩენს. თავად-აზნაურობამ ეს ბრალდება გუბერნატორის წინაშე სრულიად აიყარა და პირ-იქით ბევრი საყვედური და საჩივარი განაცხადა იმათ მიმართ, ვინც ასეთი ბრალი დასდო. ზოგიერთმა არა-სათანადო და შეუფერებელმა განკარგულებამ მეტად გვაზარალაო, სთქვა თავად-აზნაურობამ. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო“, ხოლო ჩვენში უსამართლობამ ნედლი ხეები გაახმოს. სხვაგანაცაა ავაზაკობა, სხვა მაზრაშიაც არის ავ-კაცობა, როგორ შეიძლება ოჯახში მახინჯი არ გამოერიოს, მაგრამ ამის გამო მთელის მაზრის პასუხის გებაში ჩაგდება, დაჯარიმება და სხვა ამ გვარი სასტიკი ღონის-ძიება არსად არა ხდებაო. უნდა გვიშველოთ, უნდა გვიწამლოთ რამე, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ნება მოგვეცით საგანგებო კრება მოვახდინოთ ქუთაისში, რომ დეპუტაცია შევადგინოთ პეტერბურგს გასაგზავნად და პირდაპირ მათ უდიდებულესობის წინაშე გავშალოთ ჯერ უქვეშევრდომილესი გრძნობა ერთგულებისა და შერმე სამწუხარო წიგნი ჩვენის შევიწროება-შეწუხებისაო.

ამ თხოვნაზე გუბერნატორმა აღუთქვა თავად-აზნაურობას, რომ, რაც-კი ჩემგან შესაძლებელი იქნება, ვეცდები, თქვენი სურვილი ავასრულოვო.

ვნახოთ, რისგან რა გამოვა და რას გვეტყვის ხვალინდელი დღე!

კალამი

## უცხოეთი

**ინგლისი.** დურგემის ქვის ნახშირის მუშათა კავშირმა ამ დღეებში ძლივს გაათავა მაღნის უთანხმოება პატრონებთან. აი უკვე სამი თთვე გავიდა, რაც მუშები გაფიცულნი იყვნენ და აღარა მუშაობდნენ. ეს ამბავი ფრიად საყურადღებო ამბავია: რაც დურგემის მუშათა კავშირი არსებობს, ასეთი ხანგრძლივი გაფიცვა და მუშაობაზე ხელის აღება არას დროს არ მომხდარა.

დურგემის მუშათა კავშირს 90,000 მუშა ჰყავს წევრად. ამ წლის დამდეგს ეს მუშათა კავშირი ერთი უძლიერესი და უმდიდრესი მუშათა კავშირთაგანი იყო მთელს ინგლისში. ხელთა ჰქონდა სამ მილიონ მანათზე მეტი და სხვა თანხებიც, რომლისაც მხოლოდ სარგებელი იხარჯებოდა მოხუცთა შესანახავადა და სხვა; წევრნი კავშირისა დიდს დღიურს ფასს იღებდნენ— დღეში ხუთს მილიონსა და ამასთანავე სადგომებიც უსასყიდლოდ ეძლეოდათ. ასეთს კეთილდღეობას დურგემის მუშათა კავშირმა თავისის მეცადინეობითა და უნარით მიაღწია. კანონი და მთავრობა არ მიუშველებია. მათი საქმეში ჩარევა დურგემის მუშათა კავშირს მავნებლადაც-კი მიაჩნია.

განსაკუთრებით კარგად მიდიოდა დურგემის მუშათა კავშირის საქმე 1890 წლის დამლევსა და 1891 წლის დამდეგს. იმ დროს ნახშირის ფასმა ძლიერ აიწია და მუშებმა მადნის პატრონებს დღიურის ფასისათვის 35 პროცენტი კიდევ მოამატებინეს, მაგრამ შემდეგ ნახშირი გათავდა და მადნის პატრონებმა გამოუცხადეს მუშებს, უთუოდ უნდა მოგიკლოთ დღიურ სამუშაოს ფასიო. მუშებმა კრება მოახდინეს და გარდასწყვიტეს, ჩვენც ჩვენის მხრით ფასის დაკლება-კი არა, მომატება ვითხოვოო. მადნის პატრონები მიჩუმდნენ და საქმე, როგორც იყო, ისევე დარჩა ამ წლის იანვრამდე. ამ თთვეში მადნების პატრონებმა გამოუცხადეს მუშებს, ან უთუოდ დასთანხმდით ფასის დაკლებას, ან არა და სამედიატორო სამართლით გადავწყვიტოთ საქმეო. მუშებმა კვლავ იუარეს. ახლა-კი მადნის პატრონებმა განაცხადეს, ორის კვირის შემდეგ მუშაობა მოისპობა მადნებშიო. ამ ხნის განმავლობაში მუშები მრავალს თათბირობდნენ თავიანთ საქმის თაობაზე და უმრავლესობა იმას ამბობდა, დეე მოისპოს მუშაობა და დღიურის ფასის დაკლებას-კი ნუ დავთანხმდებითო. გავიდა ორი კვირა და დურგემში 150-მა ქვის ნახშირის მადანმა მუშაობა შესწყვიტა. ამ ხნიდგან დაიწყო ის დრამა, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად ძლივს დათავდა.

გაფიცვა და მუშაობაზე ხელის აღება დურგემის ქვის ნახშირის მუშებს ძლიერ ცუდს დროს მოუხდათ. იმ დროს სხვა მუშებიც გაფიცულნი იყვნენ და ამის გამო ძლიერ დაზარალებულნი და შევიწროებულნი. პირველს ხანში დურგემის ქვის ნახშირის მუშები მაინც ძლიერ მაგრობდნენ. თავიანთი წარმომადგენელნი ბევრს ურჩევდნენ მუშებს, ნება მოგვეცით, მადნის პატრონებს როგორმე მოვურიგდეთო, მაგრამ მუშები კვლავ უარობდნენ. მუშებს წყალიც-კი შემოაკლდათ, რომელსაც მხოლოდ მღვიმეებში იღებდნენ, მაგრამ ქედი მაინც არ მოიდრიკეს. უმუშაობამ ძლიერ შეავიწროვა მუშები. გამოელიათ თავიანთი ფული და ახლო ამხანაგების მიერ შველასა და ქველ-მოქმედების წყალობას მიჰმართეს. აქეთ-იქიდგან ბევრნი აშველებდნენ ფულებსა, მაგრამ აბა რას უზამდა მუშებს სხვის ხელის შემაცქერლობა. მალ-მალე მოხდებოდა ხოლმე კრება, მაგრა გაჭირვებული მუშები უფრო მტკიცედ იდგნენ თავის სიტყვაზე და დათმობას არა სთანხმდებოდნენ, თითქმის ცხრა მეათედი წინააღმდეგი იყო ფასის დაკლებაზე დათანხმებისა.

რაც დრო გადიოდა, იმდენი უფრო მეტი მუშას აკლდებოდა სამუშავარი და გაჭირვება ვრცელდებოდა, თანდათან დაიკეტა ქარხნები, რომელიც დურგემის ნახშირითა მუშაობდა, რკინის მადნებმაც შეაჩერეს მუშაობა კლაველენდში, რადგან ნახშირი გამოელიათ, რკინის გზებზე მუშა მატარებლების რიცხი ძალიან შემცირდა, რადგან საზიდი საქონელი ბევრი მოაკლდათ, გემების მიმოსვლაც შეჩერდა. ამ სახით, კითხვა არ უნდა, ძლიერ მრავალს სხვა მუშასაც მოაკლდა საშოვარი და დღიური ლუკმა. დურგემში 90,000 კაცმა აიღო მუშაობაზე ხელი, ხოლო იმათის მიზეზით სხვა 200,000 ისეთი კაცი დარჩა უსამოვროდ, რომლებსაც ნაკლები შეძლებაცა ჰქონდათ და ნაკლები დღიური საშოვარიც. და ბოლოს ამ უკანასკნელმა გაჭირვებულებმა მიიქციეს საზოგადოების ყურადღება. ამის გამო დურგემის ქვის ნახშირის მუშები დასთანხმდნენ $7^1/_2$ პროცენტის დაკლებას დღიურს ფასზე, მაგრამ ახლა მადნის პატრონებმა გამოიდეს თავი და $13^1/_2$ პროცენტის დათმობა მოითხოვეს, დურგემის ნახშირის მთხრელებმა ძლიერ იწყინეს და გადასწყვიტეს, რაც უნდა დაგვადგეს, ან ჩვენ ან ჩვენის მიზეზით სხვებს, ცალს ფულსაც ნუღარ დავიკლებთ ამაზე მეტსაო. მუშების ცოლებიც ცალკე ჰმართავდნენ კრებებს და იმათაც მხარი მისცეს ქმრებსა, დეე სიმშილით დახოცვა ვირჩიოთ და ჩვენს ქმრებს-კი ნუ დავაკლებინებთ დღიურს სამუშაო ფასსაო. კლაველენდიდგან სხვა მუშებმაც შემოუთვალეს, მაგრად იყავით, თავს ნუ შეირცხვენთ, არა უჭირს-რა, არაფერს გვმდურებით, ჩვენც თქვენთან ერთად გავუმკლავდებით სიმშილსა და სხვა გაჭირვებასაო.—საქმემ იქამდე მიაღწია, რომ ეს უმდიდრესი მხარე ინგლისისა წინადამ სრულიად არ გადადგურდა. მთავრობა შიშობდა, არეულობა არა მოხდეს-რაო და ჯარებს მოუყარა თავი დურგემის მიდამოებში. რომ მუშები მართლა სიმშილისაგან არ დახოცილიყვნენ, კლაველენდის ქალაქების ლორდ-მერებმა ხელის მოწერით დაიწყეს ფულის შეგროვება მათს საშემწეოდ.

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. მეტად გაჭირვებულმა მუშებმა გადასწყვიტეს მცირედის დათმობა და 10 პროცენტის დაკლებას დასთანხმდნენ. მაგრამ მადნის პატრონებმა არ შეისმინეს, ფეხი დააჭირეს $13^1/_2$ პროცენტის დაკლებას და თანაც იმუქრებოდნენ, თუ ამაზედ არ დაგვთანხმდით, შემდეგ უფრო მეტის დაკლებას მოგთხოვთო. მუშებმა ჯერ უარეს და შემდეგ-კი დასთანხმდნენ, მხოლოდ შემდეგის პირობით-კი, ჯერ მარტო 10 პროცენტი დაგვიკლეთ და დანარჩენ $3^1/_2$ პროცენტის საქმე მედიატორეთა სამართალმა გადასწყვიტოსო. ამაზედ მეტად მუშების მიერ ქედის მოდრეკა შეუძლებელი-ღა იყო. ასეთი თავის დამდაბლება დურგემელ მუშათა კავშირისა, რომელიც უმდიდრესად ითვლებოდა მთელს ინგლისში, მართლა რომ დიდის გაჭირვებისა და სხვა მუშათათვის გულ-შემატკივრობის შედეგი იყო.

მაგრამ მადნების პატრონებს მადა ძლიერ გაეხსნათ, ნაზობა დაიწყეს და განაცხადეს, უთუოდ ეხლავე დაიკელით სრული $13^1/_2$ პროცენტი დღიურის ფასისაო. გახელებულმა დურგემელმა მუშებმა მოწოდებით მიჰმართეს მთელს ინგლისის მუშებს და ითხოვდნენ საზოგადოების მიერ გასამართლებას. მაგრამ ამ დროს საქმეში დურგემელი ეპისკოპოსი ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერია და საქმე მშვიდობიანად გათავდა, ორივე მხარე თანხმდა მხოლოდ 10 პროცენტის დაკლებას.

ასე დამთავრდა გაფიცვა დურგმელ მუშათა კავშირისა და მუშაობაზე ხელის აღება, რომელმაც რამდენიმე ასი ოჯახი სრულიად გაალარიბ-გაალატაკა; მაგრამ გათავდა მხოლოდ გაფიცვა, თორემ შემდეგი ამ სამწუხარო ამბისა ჯერ კიდევ დიდს ხანს ექნებათ დურგმელს მუშებს დაღსავით დაჩნეული.

## წვრილი ამბავი

გუშინ ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ჩრდილო ამერიკაში უბედურება მოხდაო. აი კიდევ ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობანი ამ უბედურების შესახებ. კრაუფორტისა და ვენანგის პროვინციებზედ ერთი მდინარე მიდის, Oil Creek. ამ მდინარეს ორსავე ნაპირზედ ათიოდე პატარა ქალაქია გაშენებული. რომლებშიაც 50,000 მცხოვრებია. მთელ მაისის განმავლობაში დასავლეთ და ჩრდილოეთ პენსილვანიაში გამუდმებული წვიმები იყო. ბოლოს დადი ნიაღვრებისაგან ერთი ტბა მძლიერ ადიდდა და პატარა მდინარე ოილი განრისხებულ ზღვად გადაიქცა. წყალმა ერთბაშად იმატა და ქალაქ ტიტუსვილის ქვემო ნახევარი წაილეკა. შეშინებული ხალხი გაიქცა ქალაქიდგანა, მაგრამ ბევრმა ვერ მოასწრო, თავს უშველა და წყალში დაირჩვნენ. ამავე დროს ნავთის ერთს ქარხანას მეხი დაეცა. ქარხანას ცეცხლი წაეკიდა და რამდენსამე წუთს შემდეგ მთელს ქარხანას ცეცხლი მოედო, შემდეგ სხვა სახლებსაც წაეკიდა და ქალაქის ერთი ნაწილი სრულიად გადიბუგა. დაიწვა ნავთის ხუთი დიდი ქარხანა, ქალაქის ამ ნაწილიდგან მხოლოდ ორი შენობა გადარჩა. ჩრდილოეთისა, ნიუ-იორკისა და პენსილვანიის რკინის გზების სადგური და რკინის ქარხანა. 24 მაისს შუადღისას წყალმა იკლო. ნიაღვარმა რამდენიმე ნავი მოიტაცა, ბენზინითა და ნავთით დატვირთული. ამ გემებში, როგორც ჰფიქრობენ, რკინის გზის რომელსამე მატარებლიდგან ნაპერწკალი ჩავარდა, ერთს წამს ნავთითა და ბენზინით დატვირთულს პატარა გემებს ცეცხლი წაეკიდა და რომელს ადგილსაც ნიაღვარი მივიდოდა, უკელგან ცეცხლიც მიდებოდა შენობებს, ხალხს საქონელს... ქალაქ ტიტუსვილის აქეთ-იქით მხარეს ცეცხლი წაეკიდა, და აფეთქდა. ქალაქის გაზის მილი, წყლის მილი, ტელეგრაფის სადგურები სულ ერთიანად განადგურდა წყლისა და ცეცხლისაგან. რამდენი ხალხი დაიღუპა ამ საშინელს უბედურების დროს, ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ჰფიქრობენ, რომ ამავე დროს დაიღუპა ტიტუსვილში მიმავალი მატარებელი, რომელშიაც 200 მგზავრი იყო. ამავე დღეს დილით ქალაქი ოილ-სიტი მდინარემ ოილმა წაილეკა. ადიდდა თუ არა ეს მდინარე, ქალაქს იმ წამსვე ცეცხლი წაეკიდა. შეშინებულნი მცხოვრებნი მთისკენ გაიქცნენ. მოისმა საზარელი ხმა აფეთქებისა და მთელს ქალაქს ცეცხლი მოედო. მარტო ოილ-სიტიში 200 კაცამდე დაიღუპა. გაქცეულს ხალხს ნიაღვარი აწყდებოდა: წყალს ზევიდამ ნავთი მოეგდო, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლმა და წყალმა, თითქოს პირობა შეჰკრეს, ერთად გაანადგურეს ქვეყანაო. ხალხი და პირუტყვნი ერთსა და იმავე დროს ცეცხლში იწოდნენ და წყალში იხრჩობოდნენ.

ტიტუსვილისა და ოილ-სიტის გარდა ძლიერ დაზარალდა ქალაქები: ებლენტორი, კორი, მიდვილი და სხ. მდინარე ოილზედ არც ერთი ხიდი არ გადარჩა. ზარალი 4 მილიონ დოლარამდეა.

## დეპეშა

8 ივნისი

**პეტერბურგი.** ელლინთა დედოფალი მეფის წულ ქრისტეფორეთურთ და მემკვიდრე ცესარევიჩი კრეისერით „ადმირალ კორნილოვი“ გუშინ კრონშტადტს მობრძანდნენ. აქედგან დედოფალი პეტერბურგით პავლოვსკში წაბრძანდა, მემკვიდრე ცესარევიჩი-კი პეტერგოფს.

**ასტრახანი.** დღეს გუბერნატორისა და კალმიკების უფროსის მზრუნველის თანადასწრებით გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, კალმიკთა მდაბიო ხალხის მებატონეთაგან განთავისუფლების შესახებ.

**მონცა.** დღეს იტალიის მეფე-დედოფალი პოსტდამს გაემგზავრნენ.

**დრეზდენი.** თავადმა ბისმარკმა გუშინდელ ოვაციების დროსა სთქვა, მე პირ მოუბრუნებელი წარმომადგენელი ვარ წარსულისა და არას დროს საზოგადო თანამდებობას აღარ ვიკისრებო.

9 ივნისი

**პოტსდამი.** გუშინ დილის 6 საათსა და 20 წუთზე ვილდაპარკის სადგურზე მივიდნენ მეფე და დედოფალი იტალიისა. იმათ მიეგებნენ იმპერატორი ვილჰელმი, იმპერატრიცა და პრინცი პრუსიის სამეფო სახლისა. იმპერატორი რამდენჯერმე მოეხვია და აკოცა მეფეს, ხოლო დედოფალს აკოცა ლოყაზე. მეფემ აკოცა იმპერატრიცას ლოყაზედ. დახვედრა დიდის აწბით მოხდა. მათი უდიდებულესობანი სადგურიდამ ახალ სასახლეში წაბრძანდნენ.

**ვენა.** ვენაში თავადს ბისმარკს დიდის ამბით დახვდნენ ათასობით გერმანელნი, რომელნიც შემდეგ სიმღერით გაემართნენ პალფის სასახლემდე, სადაც თავად ბისმარკისათვის მომზადებული იყო ბინა. დამცველთა რაზმს უნდოდა დაეშალა დემონსტრაციებისათვის და ამიტომ ხალხს ხმლით ჰრეკდა. ამის გამო რამდენიმე სტუდენტი და მცველი დაიჭრა.

**პარიჟი.** კონტრექსკილს გამართული იყო პარკში მშვენიერი დღესასწაული დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის პატივსაცემლად. მის უმაღლესობას დიდის ამბით დახვდნენ ფარდულს ახლოს, საცა მუსიკა უკრავდა რუსულს საერო საგალობელს. დიდმა მთავარმა მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისათვის. მისი უმაღლესობა ხვალ დილით წაბრძანდება აქედამ.

### პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| უთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 193½ | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | 102½ |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 99½ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102½ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98½ |

### გამოსადეგი ცნობანი

#### ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოცდა მეოთხე ტირაჟში, რომელიც მოხდა 1 მაისს 1892 წლისას, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამა ბანკის გირავნობის ფურცლებისა:

1) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1881 წ. 1 იანვრამდე (1874 წლის 28 მაისს წესდების ძალით არა-საურთიერთო თავდებობით) ას მანათიანის ღირსებისა.

27 წ. 6 თთვით.

2 სერია №№ 31, 40, 116, 143, 148,

3 სერია № 147,

11 სერია, №№ 67, 90, 130, 136, 144, 177, 182, 216, 246, 262.

43 წ. 6 თთვით.

8 სერია №№ 83, 209.

54 წლ. 6 თთვით.

2 სერია № 23.

3 სერია №№ 6, 10, 35, 37, 47, 64, 66.

5 სერია №№ 1. 6, 8, 9, 10, 11, 17, 18, 26, 32, 34, 35, 37, 38, 39, 40, 41, 45, 47, 48, 49, 50, 53, 54. 55, 56, 57, 59, 61, 62, 67, 68, 69, 70, 71, 74, 76, 78, 79, 80, 84, 87, 89, 90, 91, 99, 103, 104, 105, 107, 113, 114, 117, 118, 120, 121, 122, 123, 124, 127, 133, 134, 140, 141, 143, 144, 145, 147, 149, 150, 151, 152, 156, 158, 160, 163, 164, 165, 167, 169, 170, 171, 173, 174, 176, 179, 181, 185, 186, 189, 192, 193. 194, 196, 197, 198, 199, 201, 203, 205, 206, 207, 209, 211, 212.

ხუთას მანათიანის ღირსებისა.

27 წლ. 6 თთვით.

2 სერია №№ 1, 57.

3 სერია №№ 55, 57, 58, 60, 102, 143, 152, 156.

43 წლ. 6 თთვით.

10 სერია № 3.

54 წლ. 6 თთვით.

3 სერია №№ 3, 6, 15, 18, 28, 34, 37, 40, 47, 55, 58, 60, 67, 71, 76, 78, 82, 86, 92. 96, 100.

4 სერია № 64.

5 სერია №№ 1, 7, 10. 11, 12, 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 22, 23, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 38, 39, 41, 43, 44, 49, 50, 54, 56, 58, 60, 61, 62, 64, 67, 68, 69, 70, 71, 73, 74, 75, 77, 80, 81, 82, 83, 86, 87, 88, 90, 94, 96, 98, 99, 100, 101, 103, 104, 105, 106, 111, 112, 113, 114, 115, 117, 118, 121, 123, 124, 125, 126, 128, 129, 130, 131, 132, 134, 135, 136, 137, 138, 139, 141, 143, 145, 146, 147, 148, 149, 150, 153, 154, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 169, 172, 173, 174, 175, 178, 179, 180, 181, 184, 209, 212, 213, 215, 216.

ათასი მანათის ღირსებისა.

27 წლ. 6 თთვით.

2 სერია №№ 117, 161, 192.

3 სერია №№ 29, 35, 44, 67, 91, 96. 98, 143.

4 სერია № 25.

43 წლ. 6 თთვით.

8 სერია № 1.

54 წლ. 6 თთვით.

3 სერია №№ 3, 11, 14, 18, 25, 33, 38, 43, 44, 50, 54, 56, 63, 70, 71, 79.

5 სერია №№ 3, 5, 6. 7, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21, 22, 23, 25, 28, 29, 30, 31, 33, 34, 36, 37, 39, 40, 41, 42, 44, 45, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 68, 69, 70, 72, 73, 74, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 93, 94, 96, 97, 98, 99.

2) გირავნობის ფურცელნი, გამოცემული 1881 წლის 1 იანვრიდამ. (17 თებერვლის 1881 წლის წესდების ძალით ურთიერთის თავდებობით).

6%-ანი გირავნობის ფურცელნი.

ას მანათიანის ღირსებისა.

27 წლ. 6 თთვით.

1 სერია №№ 35, 55, 58, 61, 63, 65, 75, 77, 102, 111, 123, 128, 136, 143, 161, 168, 169, 192, 229, 231, 243, 251.

2 სერია №№ 2, 21, 40, 48, 50, 182, 187, 212, 246, 252, 257, 336, 356, 377, 379, 411, 427.

3 სერია №№ 2, 11, 26, 30, 32, 34, 46, 47, 49, 52, 56, 58, 78, 80, 81, 88, 106, 116, 122, 123, 140, 147, 151.

4 სერია №№ 1, 2, 7, 11, 12, 15, 17, 20, 21, 23, 32, 36, 41, 50, 54, 64, 67, 83, 91, 94, 99, 100, 110, 131, 133, 134, 138, 139, 144, 147, 148, 167, 168, 169, 172. 174, 180, 185, 191, 193, 194, 202, 203, 210, 213, 214, 216, 219, 222, 223, 226, 227, 233, 235.

5 სერია №№ 29, 37, 41, 44, 52, 77, 100, 116, 124.

6 სერია №№ 8, 10, 12, 15, 18, 19, 22, 24, 25, 28, 31, 32, 36, 37, 44, 50, 52, 53, 54, 57, 59, 62, 71, 72, 73, 101.

7 სერია №№ 11, 24, 31, 35, 62, 73, 84, 85, 86, 98, 101, 124, 132, 133, 155, 165, 172, 175, 177, 183, 200, 202, 207, 208, 209, 213, 217, 218, 228, 235, 236, 245, 247, 250, 251, 252, 262, 284.

8 სერია №№ 7, 9, 11, 14, 18, 26, 27, 28, 29, 35, 36, 37, 44, 48, 55, 56, 58, 59, 60, 62, 65, 70.

9 სერია №№ 4, 6, 10, 11, 14, 20, 31, 35, 42, 46, 73.

10 სერია №№ 5, 6, 13, 33, 34, 42.

11 სერია №№ 26, 32, 51.

12 სერია №№ 24, 25, 33, 38, 39, 46, 47, 60, 65.

13 სერია №№ 2, 3, 4, 10, 11,

12, 21, 23, 24, 25, 27, 29, 32, 40, 42, 48, 53, 54, 56, 58, 60, 64, 72, 77, 82, 84, 85, 86, 87, 88, 93, 96, 100, 103, 104, 106, 107, 108, 117, 119, 120, 121, 122, 123, 125, 129, 132, 134, 136, 140, 147, 149, 151, 156, 157, 158, 159, 163, 165, 166, 169, 175, 178, 180, 181, 189, 190, 198, 202, 204, 205, 207, 210, 213, 215, 216, 220, 222, 225, 227, 229, 232, 233, 245, 247, 248, 253, 255, 256, 258, 259, 260, 262, 264, 265 266, 269, 272, 275, 278, 282, 284, 287, 288, 289, 311, 317, 318, 319.

14 სერია №№ 23, 58, 108, 134.

15 სერია №№ 3, 15, 32, 35, 36, 39, 50, 54, 56, 59, 62, 63, 64, 79, 95, 98, 101, 102, 103, 105, 110, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 123, 125, 126, 128, 129, 137, 138, 142, 143, 144, 146, 147, 165, 166, 167, 171, 173, 176, 178, 180, 182, 183, 187, 189, 196, 197, 201, 206, 207, 211, 212, 221, 222, 224, 226, 232, 233, 237, 241, 244, 245, 246, 248, 254, 255, 258, 259, 264, 271, 279, 280, 286, 334, 335, 336, 337, 338, 340, 359, 360, 362, 380, 384, 385, 394, 395, 402, 412, 420, 427, 429, 430, 434, 437, 439, 419, 453, 459, 465, 467, 472, 476, 477, 480, 481, 483, 485, 495, 497, 498, 499, 501, 502, 503, 505, 507, 511, 512, 513, 514, 515, 519, 520, 521, 524, 533, 536, 544, 548, 549, 555, 559, 563, 566, 567, 569, 597, 602, 605, 606, 608, 615, 623.

16 სერია №№ 2, 43, 56, 64, 73, 87, 102, 132, 144, 146, 153, 169, 178, 190, 217, 229, 249, 258, 270, 288.

18 სერია №№ 9, 13, 22, 29, 34, 36, 54, 58, 63, 64, 65, 66, 68, 71, 74, 78, 82, 83, 86, 87, 93, 96, 98, 100, 101, 105, 110, 120, 122, 126, 131, 132, 134, 135, 137, 147, 149, 150, 156, 159, 162, 164, 166, 178, 179, 199, 204, 209, 215, 216, 219, 221, 222, 229, 232, 234, 235, 236, 237, 238, 239, 243, 247, 248, 253, 256, 257, 258, 259, 260 263, 311, 313, 314, 316, 317, 318, 323, 330, 332, 337, 339, 340, 343, 348.

19 სერია №№ 4, 5, 12, 22, 24, 25, 26, 36, 45, 47, 48, 72, 118, 119, 123, 144, 149, 159, 166, 171, 173, 199, 213, 216, 223, 224, 241, 254, 257, 285, 293, 294, 295, 306, 309 312, 315, 320, 360, 374, 381, 382, 383, 395, 404, 407, 438, 439, 446, 471, 472, 475, 484, 495, 501, 503, 504.

20 სერია №№ 3, 4, 7, 9, 11, 14, 15, 18, 19, 20, 26, 27, 29, 38, 42, 44, 47, 48, 50, 54, 60, 62, 68, 69, 71, 75, 76, 78, 81, 84, 86, 88, 90, 92, 109, 129, 131, 133, 149, 155, 156, 165, 166, 187, 199, 202, 204, 206, 211, 237, 241, 245, 254, 256, 259, 260, 262, 266, 276, 278, 279, 284, 287, 288, 293, 296, 303, 305, 307, 314, 322, 327, 336, 345, 347, 359, 362, 365, 371, 378, 381, 391, 395, 397, 399, 400.

43 წ. 6 თთვით.

1 სერ. №№ 5, 6, 54.

2 სერ. № 21

3 სერ. №№ 37, 40, 70, 86.

4 სერ. №№ 43, 54, 47.

5 სერ. №№ 4, 5, 8, 9, 10, 14, 21, 32, 40, 42, 46, 49, 56. 58, 59, 60, 64, 66, 67, 70, 72, 73, 82, 84, 85, 92, 95, 99, 111, 112, 113, 114, 116, 123, 124, 128, 137, 150, 152, 155, 156, 157, 158, 159, 162, 163, 164, 165, 171, 176.

6 სერ. №№ 14, 15, 36, 49, 90.

7 სერ. №№ 8, 10, 21, 22, 31, 34, 36, 42, 51, 54, 68, 100.

9 სერ. №№ 2, 4, 11, 18, 20, 38, 44, 46, 49, 52, 58,

10 სერ. №№ 9, 11, 21, 27.

19 სერ. №№ 16, 48, 53.

20 სერ. №№ 3, 27, 32, 35, 41, 54, 57, 63, 72, 80, 96, 97, 100, 118, 124, 131, 134, 136.

ას-ორმოც-და-ათ მანეთიანები

27 წ. 6 თთვით

1 სერ. №№ 15, 30, 39, 49.

43 წ. 6 თთვით.

1 სერ. №№ 2, 9.

ხუთას მან. ღირსებისა

27 წ. 6 თთვით

1 სერ. №№ 19, 22, 35, 36, 53, 61, 64, 89, 92.

2 სერ. №№ 16, 24, 63, 76, 91, 97.

4 სერ. №№ 5, 6. 8, 14, 15, 24, 34, 35,

5 სერ. № 19.

6 სერ. №№ 4, 5, 9, 10.

7 სერ. №№ 13, 18, 26, 30, 32, 33.

8 სერ. №№ 3, 9, 16, 18.

9 სერ. №№ 3, 10, 15, 16, 35.

10 სერ. №№ 8, 17, 18.

11 სერ. №№ 23, 27.

12, სერ. №№ 3, 5, 27, 32.

13 სერ. №№ 2, 4, 9, 10, 14, 15, 19, 23, 25, 27, 30, 39, 52, 53, 54, 55, 57, 60, 61, 63, 64, 67, 69, 71, 72, 80, 81, 84, 85, 86, 87, 91.

14. სერ. №№ 20, 30.

15 სერ. №№ 9, 10, 13, 14, 25, 28, 29, 31, 33, 56, 67, 81, 86, 87, 88, 89, 105, 107, 110, 113, 117, 120.

16 სერ. №№ 6, 17, 50, 56, 78, 85.

18 სერ. №№ 6, 7, 8, 11, 12, 14, 15, 16, 19, 22, 32, 36, 37, 43, 44, 46, 48, 49, 51, 52, 55, 59, 60, 67, 77, 80, 83, 84, 86, 88, 89, 90, 95, 96, 107, 109, 113, 120, 124, 125, 131, 135, 149, 153, 154, 176, 187, 192, 194, 195, 196, 199, 208, 211, 212, 213, 215, 217, 224, 227, 228, 229, 232, 233, 238, 239, 240, 245, 263, 265, 267, 269, 279, 280, 281, 288, 295, 297, 299, 302, 305, 306, 327, 333, 335, 337, 339, 340, 341, 346, 350, 351, 356, 357, 385, 386, 388, 404, 408, 413, 415, 417, 418.

19 სერ. №№ 22, 23, 31, 40, 45, 50, 51, 53, 55, 56, 72, 78, 86, 93, 109, 112, 113, 114, 117, 121, 131, 133, 134, 135, 137, 139, 140, 142, 183, 184, 187, 221.

20 სერ. №№ 1, 4, 9, 23, 24, 25, 52, 55, 58, 65, 68, 72, 76, 78, 82, 101, 102, 107, 110, 113, 114, 117, 124, 129, 136, 142, 147, 153, 154, 158, 161, 165, 173, 178.

43 წ. 6 თთვით.

1 სერ. №№ 20, 26,

2 სერ. № 1.

5 სერ. №№ 3, 6, 9, 10, 17, 27, 32, 35, 39, 42, 43, 44.

7 სერ. №№ 6, 9.

9 სერ. №№ 1, 3, 5, 7, 9, 20, 26.

10 სერ. №№ 1, 4, 8.

17 სერ. №№ 1, 6.

18 სერ. №№ 23, 45.

19, სერ. №№ 11, 29.

20 სერ. №№ 12, 24, 31, 38, 39, 40.

ათას მანათის ღირსებისა

27 წ. 6 თთვით.

1 სერ. №№ 6, 42, 63, 68, 69, 74, 75, 78, 83, 100, 105, 107, 125, 129, 130, 143, 146, 193, 197, 218, 222, 272, 274, 281, 326, 338, 343, 355, 356, 357, 365, 366.

2 სერ. №№ 18, 22, 30, 81, 244, 265, 271, 294, 383, 410, 421, 424, 436, 441, 498, 500, 521, 568, 596, 605, 679, 710, 720, 722, 729, 732, 819, 826, 834, 847, 888.

3 სერ. №№ 1, 2, 3, 5, 10, 11, 12, 21, 22, 23, 29, 30, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 48, 49, 50, 51, 54, 60, 62, 63, 64, 67, 69, 73, 74, 90, 91, 92, 95, 97, 99, 102, 103, 117, 120, 121 126, 131, 133, 135, 139, 141, 143, 145.

4 სერ. №№ 4, 5, 6, 8, 11, 15, 23, 29, 32, 34, 35, 38, 44, 45, 47, 48, 51, 53, 54, 57, 61, 63, 70, 77, 23, 74, 76, 84, 85, 92, 97, 100, 104, 105, 109, 110, 115, 118, 122, 128, 137, 142, 152, 155, 157, 165, 166, 171, 175, 177, 178, 181, 185, 188, 191, 207, 210, 253, 254, 255, 265, 270, 282, 283, 284, 287, 288, 289, 291, 293, 297, 303, 307, 308.

5 სერ. №№ 2, 44, 62, 66, 83, 84, 201, 279, 285, 288, 299, 310, 328,

6 სერ. №№ 7, 12, 14, 16, 17, 18, 19, 23, 26, 28, 33, 34, 35, 36, 37, 40, 41, 43, 44, 45, 49, 50, 54, 56, 58, 59, 60, 61, 62, 67, 68, 70, 71, 73, 76, 78, 79, 80, 81, 87, 89, 90, 91, 92, 103, 105, 107, 108, 113.

7 სერ. №№ 3, 4, 10, 12, 18, 20, 23, 29, 31, 32, 40, 42, 44, 56, 59, 60, 72, 73, 76, 77, 80, 82, 83, 88, 92, 97, 98, 100, 106, 108, 111, 112, 120, 126, 127, 128, 131, 134, 138, 141, 144, 147, 154, 157, 161, 163, 164, 209, 215, 259, 287, 305, 316, 332.

8 სერ. №№ 1, 2, 3, 8, 9, 13, 14, 17, 20, 24, 25, 27, 34, 36, 38, 41, 43, 46, 48, 51, 53, 56, 59.

9 სერ. №№ 10, 12, 18, 23, 24, 37, 41, 44, 46, 65, 79, 81.

10 სერ. №№ 1, 3, 4, 12, 13, 14, 16, 17, 18, 23, 52, 53, 54, 77.

11 სერ. №№ 8, 15, 22, 25, 29, 30, 48, 61, 62, 66, 74, 89, 95, 100, 103, 105, 108, 109, 110, 122, 127, 136, 140, 148, 149, 152, 157, 158, 159, 177, 181, 192, 195, 197, 198, 208, 212, 224, 227, 228, 239, 250, 253, 260, 266, 267 270.

12 სერ. №№ 4, 45, 50, 71, 99, 106, 145, 149, 153, 225, 226.

13 სერ. №№ 3, 17, 18, 22, 25, 28, 30, 31, 34, 36, 39, 41, 45 46, 50, 52, 55, 60, 62, 69, 72, 73, 76, 77, 78, 79, 80 81, 88, 89, 99, 106, 107, 109, 115, 118, 122, 130, 131, 133, 135, 137.

14 სერ. №№ 17, 61, 66.

15 სერ. 2, 3, 4, 6, 7, 8, 29, 30, 32, 33, 34, 36, 37, 38, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 51, 52, 54, 55, 56, 57, 58, 61, 62, 63, 64, 67, 69, 70, 72, 76, 78, 81, 82, 84, 86, 87, 88, 91, 92, 93, 95, 96, 100, 102, 119, 124, 126, 138, 141, 155, 157, 160, 161, 162, 169, 170, 180, 183, 193, 194, 197, 206, 208, 209, 212, 217, 218, 227, 233, 239, 243, 260

16 სერ. №№ 12, 18, 41, 64, 75, 79, 80, 89, 136, 145.

18 სერ. №№ 2, 3, 8, 11, 12, 13, 14, 21, 29, 33, 37, 38, 40, 42, 45, 46, 49, 51, 66, 67, 68, 79, 101, 103, 104, 105, 106, 107, 109, 110, 116, 117, 123, 127, 164, 165, 166, 167, 171, 177, 178, 183, 184, 188, 189, 190, 191, 193, 196, 200, 203, 204, 205, 214, 215, 224, 225, 226, 227, 231, 235, 241, 244, 248, 249, 251, 254, 259, 260, 266, 271, 272, 276, 279, 280, 283, 284, 286, 298, 304, 306, 310, 315, 320, 325, 326, 329, 345, 346, 349, 350, 351, 355, 357, 358, 359, 360, 361, 364, 366, 368, 374, 375, 376, 380, 381, 386, 391, 393, 394, 402, 409, 413, 415, 416, 418, 420, 421, 423, 424, 426, 432, 434, 438, 439, 443, 444, 445, 446, 447, 451, 458, 463, 464, 466, 468, 471, 472, 474, 475, 477, 479, 481, 482, 484, 485, 487, 490, 491, 493, 494, 495, 497, 499, 505, 507, 511, 520, 527, 528, 530, 534, 537, 542, 543, 544, 546, 560, 564, 567, 570, 573, 592, 594, 599, 603, 609, 618, 619, 622, 624, 632, 634, 639, 640, 646, 649, 651, 660, 661, 662, 664, 666, 671, 673, 676, 683, 685, 686, 687, 690, 695, 698, 699, 700, 701, 702, 704, 710.

19 სერ. №№ 26, 35, 43, 50, 52, 68, 78, 82, 85, 94, 101, 102, 105, 108, 111, 112 115, 128, 134, 138, 146, 150, 161, 162, 163, 164, 169, 176, 179, 187, 195, 197, 198, 206, 220, 265, 280, 285, 287, 302, 310, 316, 317, 320, 323, 326, 336, 339, 344, 355, 371, 416, 420, 430, 448, 453, 456, 460, 468, 498, 525.

20 სერ. №№ 6, 9, 15, 16, 36, 44, 48, 51, 55, 57, 60, 65, 66, 67, 69, 128, 135, 138, 140, 144, 148, 149, 150, 153, 154, 155, 161, 163, 166, 171, 181, 184, 192, 201, 203, 208, 213, 214, 216, 217, 218, 221, 227, 230, 240, 243, 247, 251, 255, 261, 263, 267, 268, 270, 272, 274, 281, 284, 289, 290, 293, 300, 301, 306, 307, 311, 314, 319, 321, 323, 324, 338, 339, 342.

43 წ. 6 თთვით.

1 სერ. №№ 25, 27, 28, 40, 42, 46, 63, 71, 96, 102, 111, 114, 132.

2 სერ. № 21.

5 სერ. №№ 2, 13, 14, 15, 17, 54, 60, 63, 64, 65, 67, 68, 80, 81, 82, 87, 94, 96, 104, 105, 119, 121, 127.

6 სერ. №№ 5, 20, 30, 35, 41, 42, 43, 47, 52, 54, 57 58, 63, 65, 66, 67, 71, 76.

7 სერ. №№ 1, 4, 14, 19, 32, 38, 64, 65, 74, 80, 89, 104, 105, 107, 118, 119.

9 სერ. №№ 4, 5, 10, 12, 18, 19, 20, 24, 29, 30, 31, 37, 46, 48, 49, 50, 52, 55, 62, 63, 65, 73, 76.

10 სერ. №№ 1, 4, 5, 9.

12 სერ. №№ 2, 19.

17 სერ. №№ 5, 12.

18 სერ. №№ 9, 17, 43, 47, 50, 107.

19 სერ. №№ 22, 32, 48, 50, 52, 64.

20 სერ. №№ 8, 18, 19, 25, 27.

5%-ანი გირავნობის ფურცლები

ას მანათის ღირსებისა

29 წლ. 9 თთვით.

1 სერია №№ 75, 88, 89, 97.

36 წლ. 4 თთვით.

1 სერია №№ 384, 388, 583, 1117, 1197, 1329, 1332, 1417, 1948, 2113, 2177.

61 წლ. 8 თთვით.

1 სერია №№ 960, 1019, 1059.

უვადონი.

№№ 804, 805.

ხუთას მანათის ღირსებისა

36 წლ. 4 თთვით.

1 სერია №№ 66, 371, 425, 441, 671.

უვადონი.

№№ 1, 80.

ათასი მანათის ღირსებისა.

36 წლ. 4 თთვით.

1 სერია. №№ 480, 610, 632, 821, 916, 931.

უვადონი.

№№ 2, 19. 29, 157, 246, 329, 618.

ფულის მიღება ტირაჟში გამოსულ ფურცლების სამაგიეროთ შეიძლება ტფილისში — ბანკის კასაში, ს.-პეტერბურგში—ს.-პეტერბურგის გამხალდეებელ და გასესხებელ ბანკში და სახელმწიფო ბანკში ყველა მის კანტორებსა და გაყოფილებებში. (1—1)